

ასმათ შონია

ფილოლოგიის დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი

ORCID: 0000 – 0002- 038945

## ანთროპონიმული ტოპონიმები (ოიკონიმები) მეგრულში

### აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ანთროპონიმური ტოპონიმების (ანთროპო-ოიკონიმების) წარმოშობასა და განვითარებას სამეგრელოს რეგიონში. იგი ფოკუსირებულია პირადი სახელებისა და გვარებისგან წარმოებულ ტოპონიმებზე, იკვლევს მათ მორფოლოგიურ სტრუქტურას და მათ ფორმირებაში ჩართულ ენობრივ მექანიზმებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეგრული ენისთვის დამახასიათებელ აფიქსაციის მოდელებს (მაგ., ლე-...-ე, სა-...-ო, ნა-...), ასევე ფონეტიკურ პროცესებს, როგორცაა ჰაპლოლოგია, ასიმილაცია და დისიმილაცია.

სამეცნიერო ლიტერატურასა და ადგილობრივ ტოპონიმურ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევა ადასტურებს, რომ სამეგრელოში ტოპონიმების მნიშვნელოვანი რაოდენობა მჭიდრო კავშირშია ისტორიულად დადასტურებულ პირად და გვარ-სახელებთან. ნაშრომი აანალიზებს როგორც უძველეს, ასევე უფრო ახალ ტოპონიმურ ფორმებს, მათი ენობრივ, ეთნიკურ და სოციალურ ფაქტორებთან კავშირის გათვალისწინებით. ეს კვლევა მნიშვნელოვან ხედვას გვთავაზობს ლინგვისტიკისთვის, ასევე ისტორიისა და ეთნოლოგიის სფეროებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** მეგრული, ლაზური, მორფოფონოლოგია, სუფიქსი, დერივაცია, ფონეტიკური პროცესები, ტოპონიმები, მორფემათა ზღვარი.

**Asmat Shonia**

Doctor of Philology, Associate Professor at ZSU

## ANTHROPONYMIC TOPONYMS (OIKONYMS) IN THE MEGRELIAN LANGUAGE

### ABSTRACT

*This paper explores the origin and development of anthroponymic toponyms (anthropo-oikonyms) in the Samegrelo region of Georgia. It focuses on place names derived from personal names and surnames, examining their morphological structure and the*

*linguistic mechanisms involved in their formation. Special attention is given to affixation models (e.g., le-...-e, sa-...-o, na-...) typical to the Megrelian language, as well as phonetic processes such as haplology, assimilation, and dissimilation.*

*Based on scholarly literature and local toponymic data, the study confirms that a significant number of toponyms in Samegrelo are closely connected to historically attested personal and family names. The paper analyzes both ancient and more recent toponymic forms, considering their relation to linguistic, ethnic, and social factors. This research offers crucial insights for linguistics, as well as for the fields of history and ethnology.*

**Keywords:** *Megrelian, Laz, Morphophonology, Suffix, Derivation, Phonetic Processes, toponyms, Morpheme Boundary*

### **შესავალი**

ტოპონიმების (ოიკონიმების) წარმოშობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ენის ისტორიული განვითარების პროცესში. ადამიანთა რქმევის სახელებისა და გვარების (ანთროპონიმების) საფუძველზე გეოგრაფიული ობიექტების სახელების ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს და მრავალ ცივილიზაციაში გვხვდება. კვლევის საგანს წარმოადგენს ოიკონიმები მეგრულში, რომლებიც შეიქმნა ანთროპონიმების საფუძველზე. განსაკუთრებით საინტერესოა ლე-...-ე, სა-...-ო, ნა-... აფიქსებით ნაწარმოებ ტოპონიმთა წარმოებისას მიმდინარე ფონეტიკური პროცესები.

**მეთოდოლოგია:** მოცემული კვლევა წარმოადგენს აღწერით-ანალიტიკურ ტიპს და ეფუძნება როგორც ემპირიულ, ისე თეორიულ მონაცემებზე დამყარებულ ლინგვისტურ ანალიზს.

### **მსჯელობა**

ანთროპონიმთა მიხედვით გეოგრაფიულ ადგილთა სახელების ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ბიბლიის წმინდა წიგნები გვამცნობენ, რომ ქალაქები ინოდებოდა როგორც დამაარსებლის, ასევე მიწის პატრონის სახელის მიხედვით. ანთროპონიმული ტოპონარმოება საქართველოშიც უძველესი დროიდან დასტურდება, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის, მხარის ისტორიული წარსულის შესასწავლად (ბერიძე 2004:19).

ყველა ხალხმა საკუთარ სახელთა სისტემა და ანთროპონიმული მოდელი შექმნა, რაც გულისხმობს სხვადასხვა ხალხთა ანთროპონიმების (საკუთარ სახელთა) გარკვეულ დროში გარკვეული წესით ორგანიზებულ ერთობლიობას. საკუთარ სახელთა სისტემა უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ენობრივი თავისებურებებით, ეთნოსის მიერ განვლილი ისტორიული გზით, სოციალური განვითარების თავისებურებებით, რელიგიით, სხვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობით (ჭითანავა 2020:11).

ოიკონიმი დასახლებული პუნქტის სახელია (ბერძ. ოიკოს „სახლი“, „საცხოვრისი“, ონიმი „საკუთარი სახელი“) ორმოციოდე წლის წინათ ეს ტერმინი ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული. 1965 წელს ვ. ნიკონოვი აღნიშნავდა: „დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად არ მოგვეპოვება სპეციალური ტერმინი“ (ნიკონოვი 1965), მაგრამ მალევე შეიქმნა და სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად დამკვიდრდა ტერმინები: ოიკონიმია, ოიკონიმიკა, კომინიმი (სოფლის სახელწოდება), კომონია, ოიკონიმიკა; ანთროპონიმის, მათ შორის გვარსახელის, მონაწილეობით წარმოქმნილ ოიკონიმს შეიძლება ვუწოდოთ ანთროპოოიკონიმი (ცხადაია 2016:37).

საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდაა გავრცელებული ადამიანის გვარ-სახელებიდან ნაწარმოები ოიკონიმები, ადამიანთა გვარებისაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელებს შედგენილობის მიხედვით სამ ჯგუფად ყოფენ: პირველ ჯგუფს შეადგენენ სახელწოდებანი, რომლებშიც ადამიანთა გვარები უცვლელი სახით (აფიქსების გარეშე) არის წარმოდგენილი. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან სათანადო ბოლოსართების დართვით წარმოქმნილი სახელები; მესამე ჯგუფს ქმნიან სხვადასხვა თავსართ – ბოლოსართების შემცველი სახელწოდებანი (კაჭარავა 1960:5).

სამეგრელოში, ისე როგორც დანარჩენ საქართველოში, ფიქსირდება გაუფორმებლად, უაფიქსოდ წარმოდგენილი გვარ-სახელები, მაგ. **დავითიანი**, სოფელი ზუგდიდის რაიონში. გვარი დავითიანი ფიქსირდება მესტიაში, თბილისსა და სამტრედი-აში, მაგრამ ზუგდიდის რაიონში, სადაც ეს სოფელია – არც ერთი.

**მიქავა** – სოფელი წალენჯიხის რაიონში, აქვეა ამ გვარის მატარებელთა ნახევარზე მეტი. ნაწარმოები ჩანს მიქა საკუთარი სახელისაგან.

საბჭოთა პერიოდში დარქმეულია რამდენიმე სოფლის სახელწოდებად გვარსახელი: ორჯონიკიძე, ცხაკაია (ცხაკა//ჩხაკა კოლხ. თვალღია, ღია გახუნებულ თვალებს ნიშნავს. ამ ტიპის ოიკონიმები მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის (მაღრაძე 139).

**მახუტია** – ჩხორონყუს რ/ნი სოფ. ლესიჭინეში უბანს ეწოდება „მახუტია“, ხოლო სოფ. მუხურში – არონია. მომხდარა კონვერსია: პირსახელი მახუტია და გვარ-სახელი არონია ქცეულან ადგილის (უბნის) სახელებად რაიმე მორფოლოგიური ელემენტის გამოყენების გარეშე. ასეთ შემთხვევაში არაა გამორიცხული პარალელურად აფიქსიანი ვარიანტების არსებობაც. წალენჯიხის რაიონის სოფ. უბადოლაში ყოფილ დასახლებულ უბანს ეწოდება არქანია// საარქანო (არქანია გვარია). (ცხადაია 2000:26)

პირსახელი მახარა მიღებულია მახარ-ი-ა სახელისაგან. პ. ცხადაია გამოყოფს მახარა პირსახელისაგან მომდინარე მეგრულ ტოპონიმებს: ნამახარუ, სამახარიო // მახარია. მისივე ცნობით, მახარია სამეგრელოში სახელიც არის და გვარიც, რომელიც მიღებულა მახარესაგან -ა სუფიქსის დართვით (მახარე-ა > მახარია) (ცხადაია, 2000:110). მახარია ა. ქობალიას მიხედვით, არის მიმართვის ფორმა: „ჩემო სიხარულო, გამხარებლო“. ხოლო მახარე – საკუთარი სახელი, რაც ნიშნავს: „მახარობელს; ერთგვარ ფრინველს“ (ქობალია, 2010:399).

გ. კაჭარავას მოსაზრებით, ქართველურ ენებში ადამიანთა გვარებისაგან მიღებულ გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნაში თავდაპირველად მონაწილეობდნენ მხოლოდ თავსართები, რომლებსაც შემდეგ დამხმარედ შემდეგ ბოლოსართებიც გამოუჩნდა (კაჭარავა 1960:216).

ტოპონიმთა საწარმოებლად მეგრულს მოეპოვება საგანგებო აფიქსები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ დასახლებული პუნქტის წარმოებაა: ესენია აფიქსებია **ლე-ე** და **სა-ო**.

**ლე-ე** და **სა-ო** თითქმის ერთნაირი ფუნქციისანი არიან და მორფოლოგიური ექვივალენტების შთაბეჭდილებას ტოვებენ: მაგ.: ლე-სიჭინ-ე „სიჭინავებით დასახლებული სოფელი“, ლე-დგები-ე „დგებუაძეებით დასახლებული სოფელი“. ეს წარმოება ძველია აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, მის ადგილს იჭერს **სა---ო** ტიპის წარმოება: სა-ლო-მაი-ო, სა-ქანთარი-ო და ა.შ. ამ ტიპის წარმოებისას ამოსავალია გვარი, რომლითაც დასახლებული იყო სოფელი (ჩიქობავა 1974:70).

**ლე-ე** პრეფიქსით – სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმების წარმოებისას შეინიშნება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი:

მაგ.: ა) ჰაპლოლოგია ბაჩილავა > ლე-ბაჩილავ-ე > ლე-ბაჩ-ე > იე-ბაჩი-ე > ე-ბაჩი-ე; ნურნუმიან > ლე-ნურნუმი-ე > ლე-ნურნუმი-ე > ლე-რნუმი-ე > ლე-ნუმი-ე; ჭუბაბრია > ლე-ჭუბაბრი-ე > იე-ჭუბაბრი-ე, გეგელია > ლე-გეგელი-ე > იე-გეგეი-ე > ე-გეგეი-ე, გერგედავა > ლე-გერგედავ-ე > ლე-გერდ-ე.

ბ) ტოპონიმის თავკიდური ხმოვნის რედუქცია: ესართია > ლე- \*ესართია-ე > \*ლე-ესართ-ე > ლესართე, ებსია > \*ლე-ებსია-ე > ლე ფსი-ე, ესიავა > ლე-ესიავ-ე > ლე-სია-ო.

გ) მეგრულ ტოპონიმებში დასტურდება, სრული და ნაწილობრივი ასიმილაცია:

ყუფუნია > \*ნა-ყუფუნო-უ > ნა-ყუფუნუ-უ > ნა-ყუფუნ-უ, ფირცხელავა > \*ლე-ფირცხელავ-ე > ლე-ფირცხა-ე > ეფირცხე, ჩაგინავა > ნა-ჩაგინა-ო > ნა-ჩაგინა-უ > ნა-ჩაგინუ-უ > ნა-ჩაგინ-უ

დ) ასვე დასტურდება დისიმილაციის მაგალითები: ონჩხოლია > სა-ონჩხოლია-ო > სა-ონჩხოლი-ო > სა ანჩხალი-ო, ორზოლია > სა-ორზოლია-ო > სა – ორზოლი-ო.

მეგრულში ხშირად გვხვდება **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები სოფლის სახელები, მაგ: ნა-ლეფსო-უ, ადგილი, სადაც ლეფსაიები ცხოვრობდნენ, ნა-ფიჩხ-ო-უ „ადგილი, სადაც ფიჩხაიები ცხოვრობდნენ“.

შეუძლებელი არაა ამგვარი წარმოების სოფლის სახელები ისტორიულად იმაზე კი არ მიუთითებდეს, სადაც ამა თუ იმ გვარს წინათ უცხოვრია, არამედ – სადაც ეს გვარი ცხოვრობს, ე. ი. ნა-// სა- ნა-გაზო-უ // სა-გვაზ-უ თუ ეს ასეა სოფლის სახელთა ნა- პრეფიქსით წარმოება ძველია. თუ ნაგვაზოუ იმას ნიშნავს, რომ აქ გვაზავები ცხოვრობდნენ, მაგრამ აღარ ცხოვრობენ, მაშინ ეს შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს გამოხატავს: ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ მაგრამ ნაგვაზოუს ტიპის წარმოება არც თუ იშვიათია: მოსალოდნელიც კი არაა ძველი მოსახელის გვარი დაეტოვებინა მერე დასახლებულს (ჩიქობავა 1942:196).

**ლე** – პრეფიქსი სვანური მორფოლოგიური ინვენტარისაა, როგორც ამას აღნიშნავს ი. ყიფშიძე (ყიფშიძე 1994:272).

პირველი მკვლევრები, რომელთაც სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში გამოყვეს ლე-პრეფიქსი და დაუკავშირეს იგი სვანურში ცოცხალ და გავრცელებულ ლე – თავსართს იყვნენ: ალ. ცაგარელი და მ. ჯანაშვილი. ვ. თოფურიას დანვრილებით აქვს ნე-, ნი- ნა – (> ლე- ლი- ლა) პრეფიქსების წარმოშობისა და დანიშნულების საკითხები (თოფურია 1979:63-72).

მეცნიერებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ სვანურ მეგრულ, ქართულ (კერძოდ, ლეჩხუმურ) გეოგრაფიულ სახელებში გამოყოფილი ლე- თავსართი სვანური წარმომავლობისაა და ტოპონიმიაში მისი ფუნქცია ადგილის სახელთა წარმოებაა.

„სპეციალური ტოპონიმწარმოებელი ფორმანტები თავდაპირველად არ უნდა არსებულებოდა ენაში, როცა საჭირო გახდა გეოგრაფიული სახელწოდების გაფორმება აპელატიურ (ანუ საზოგადო სიტყვანარმოების) ელემენტებს დაეკისრა. დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი სავსებით ან ნაწილობრივ მიისაკუთრა ტოპონიმია და ტოპონიმწარმოებელ ოდენობად აქცია, ტოპონიმების გარეშე არსებობა თითქმის შეწყვიტა (ნიკონოვი 1969).

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ბერიძე, ე.,** უძველესი ქართველური ანთროპონიმები ნიგალის ხეობაში, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, ქუთაისი, 2010.

**კაჭარავა, გ.,** ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში, ა.ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XVI, თბ., 1960.

**მალრაძე, ვ.,** გვარსახელებიდან ნაწარმოები ოიკონიმები, ქართველური ონომასტიკა II, თბილისი, 2004.

**ქობალია, ა.,** მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010.

**ჩიქობავა, არნ.,** სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

**ცხადაია, პ.,** გვარები და გვართა დასახელებანი საქართველოში, თბ., 2000.

**ჭითანავა, დ.,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, თბ., 2020.